

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მეხუთე სექციის გადაწყვეტილება

საქმეზე „ქაძანაია საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი N27178/21)

სტრასბურგი

2024 წლის 21 მარტი

ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, თუმცა ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „ქაძანაია საქართველოს წინააღმდეგ“

„ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს“ (მეხუთე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

კარლო რანზონი, თავმჯდომარე,  
ლადო ჭანტურია,  
მარია ელოსეგუი, მოსამართლეები,  
და მარტინა კელერი, სექციის განმწესრიგებლის მოადგილე.

გაითვალისწინა რა:

საჩივარი (N27178/21) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2021 წლის 19 მაისს სასამართლოში შეიტანა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს მოქალაქემ ქ-ნმა აზა ქაძანაიამ (შემდგომში „მომჩივანი“), დაბადებული 1962 წელს, მცხოვრები თბილისში, რომელსაც წარმოადგენდა ბ-ნი თ. ქოქოშვილი, ადვოკატი, რომელიც საქმიანობას ახორციელებს თბილისში;

გადაწყვეტილება ეცნობოს საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“), რომელსაც წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან ბ-ნი ბ. ძამაშვილი, საჩივრის შესახებ კონვენციის მე-6(1) და მე-13 მუხლის შესაბამისად, და გამოცხადდეს საჩივრის დანარჩენი ნაწილი მიუღებლად;

მხარეთა მოსაზრებები;

2024 წლის 22 თებერვლის დახურული თათბირის შემდეგ,

გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

საქმის არსი

- საქმე ეხება მომჩივნის პრეტენზიებს კონვენციის მე-6(1) და მე-13 მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომელშიც მომჩივანი ცნეს სამოქალაქო მხარედ.
- 1998 წლის 15 ოქტომბერს მომჩივანი დააყარა იარაღის მუქარით. ყაჩაღმა მისი ვალუტის გადამცვლელი პუნქტიდან წაიღო 22 256 აშშ დოლარი.
- სისხლის სამართლის გამოძიება დაიწყო 1998 წლის 19 ნოემბერს, ხოლო 2000 წლის 24 იანვარს

მომჩივანი ცნეს სისხლის სამართლის საქმის წარმოების სამოქალაქო მხარედ მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, რომელიც შეადგენდა 22 256 აშშ დოლარს.

4. 2000 წლის 18 თებერვალს ზ. ჯ.-ს – გაერთიანებული ქართული ბანკის დაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს – ბრალი წაუყენეს დამამძიმებელ გარემოებებში ყაჩაღობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნა-შენახვისთვის.

5. მომდევნო სისხლის სამართლის საქმის წარმოება შედგებოდა ექვსი ურთიერთდაკავშირებული საქმის წარმოების ეტაპებისგან, რაც შედეგად მოჰყვა უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის გადაცემას დამატებით გამოსაძიებლად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოსათვის ან, პროცედურული საფუძვლით, ქვედა ინსტანციის სასამართლოსთვის. თითოეული საქმის წარმოების სხვადასხვა ეტაპზე ზ. ჯ. კიდევ გაამართლეს და მსჯავრდებულადაც ცნეს. საქმის წარმოება დასრულდა 2021 წლის 29 იანვარს ზ. ჯ.-ის გამართლებით. პირველი ინსტანციის სასამართლოს ზ. ჯ.-ის გამამართლებელი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მისი მსჯავრდებისათვის საკმარისი მტკიცებულება არ არსებობდა და, რომ ზოგი საგამომიებო მოქმედება არასრულად განხორციელდა, ხოლო ზოგი – საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით, რაც ამცირებს შესაბამისი მტკიცებულებების მტკიცებით ძალას. ასევე აღინიშნა, რომ გამოძიების ფარგლებში ამოღებული ტყვიები დაკარგეს ხელისუფლების ორგანოებმა და, რომ ამ მიმართებით მიმდინარეობდა ცალკე გამოძიება. მომჩივნის სამოქალაქო სარჩელი უარყოფილი იქნა ზ. ჯ.-ის გამართლებასთან დაკავშირებით.

## სასამართლოს შეფასება

### კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების სავარაუდო დარღვევა

6. კონვენციის მე-6(1) და მე-13 მუხლებზე დაყრდნობით მომჩივანი ჩიოდა საქმისწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობისა და ამ მიმართებით შიდასამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების არარსებობის გამო.

7. მთავრობამ განაცხადა, რომ საჩივარი მიუღებელი იყო საჩივრის საკმარისად სწრაფად წარდგენის, კონვენციის დებულებებთან *ratione materiae* შეუსაბამობის, სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოუწურაობის, ინდივიდუალური საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენების ან აშკარად დაუსაბუთებლობის გამო. მათ შორის, მათ ხაზი გაუსვეს, რომ მომჩივნის სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში წარდგენილი იყო პროცედურულად არასრულყოფილი და მომჩივანს არ ჰქონდა მისი დაკმაყოფილების შანსი და, შესაბამისად, ის არ უნდა დალოდებოდა სისხლის სამართლის პროცესის დასრულებას, რომ შეეტანა თავისი საჩივარი სასამართლოში. მათ ასევე განაცხადეს, რომ მომჩივნის მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში ჰქონდა წმინდად სადამსჯელო მიზანი, მისი ნამდვილი მცდელობის საპირისპიროდ, მიეღო კომპენსაცია. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ მომჩივანს ჰქონდა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები: მას შეეძლო საქმის წარმოების დაწყება სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ, რომლებიც, სავარაუდოდ, პასუხისმგებელი იყვნენ მის მიერ ანაზღაურების ვერმიღებაზე ან/და სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობაზე. მას ასევე შეეძლო დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ, ვინაიდან საქმე ეხებოდა სამართალწარმოების ხანგრძლივობას. ალტერნატიულად, მთავრობა ამტკიცებდა, რომ მომჩივანს არ შეუტყობინებია სასამართლოსთვის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში 2021 წელს წარდგენილი საჩივრის შესახებ, სისხლისსამართლებრივი დანაშაულის შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რომელიც მან 2022 წელს უკან გაითხოვა. დაბოლოს, მთავრობამ განაცხადა, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, სამართალწარმოების ხანგრძლივობა ეროვნულ დონეზე არ იყო დაუსაბუთებელი საქმის სირთულისა და 2005 წლის ივლისიდან 2009 წლის იანვრამდე ეროვნულ დონეზე განხორციელებული სისტემური რეფორმების გათვალისწინებით, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სასამართლოების დატვირთვა. ამასთან დაკავშირებით მათ დაამატეს, რომ მომჩივანმა ხელი შეუწყო საქმის გაჭიანურებას, ორ შემთხვევაში დაეთანხმა რა პროკურატურის მოთხოვნას სხდომის გადადების შესახებ.

8. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო თავიდანვე იმეორებს, რომ იმ დროისთვის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა მომჩივანს უფლებას აძლევდა, შეერთებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას როგორც სამოქალაქო მხარე, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მისაღებად. მართლაც, ის შეუერთდა სამართალწარმოებას როგორც სამოქალაქო

მხარე. ამრიგად, სისხლის სამართლის პროცესში, რომელშიც მომჩივანი ჩაერთო, გამოიყენება მე-6(1) მუხლის სამოქალაქო ნაწილი (იხ. საქმე *Nicolae Virgiliu Tănase v. Romania* [GC], no. 41720/13, § 207, 2019 წლის 25 ივნისი, შემდგომი მითითებებით).

9. ვინაიდან რამდენიმე საქმის წარმოების ეტაპი მიმდინარეობდა უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის სხვა ინსტანციისთვის გადაცემის გამო (იხ. პარაგრაფი 5 ზემოთ), მომჩივანს არაერთხელ მოუწია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ჩამოყალიბება. შესაბამისად, მისი საჩივრის პროცედურულად არასრულყოფილი ფორმულირება თავდაპირველ სამართალწარმოებაში ხელს არ შეუშლიდა მას ახალი საჩივრის შეტანაში, თუ ბრალდებულს მსჯავრი დაედებოდა საქმის წარმოების საბოლოო ეტაპზე. თუმცა, ამის საპირისპიროდ, ვინაიდან სამართალწარმოება ბრალდებულის გამართლებით დასრულდა, მომჩივნის სამოქალაქო საჩივარი უარყოფილი იქნა სწორედ გამამართლებელი განაჩენის გამო და არა მის საჩივარში არსებული რაიმე პროცედურული ხარვეზის გამო. ამასთან, თუმცა 2010 წელს ცვლილებები შევიდა ეროვნულ კანონმდებლობაში, რომლითაც დანაშაულის დაზარალებულს საშუალება მიეცა ანაზღაურება მოეთხოვა სამოქალაქო სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმის წარმოების ან გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, მომჩივნისთვის არ შეუთავაზებიათ, შიდასახელმწიფოებრივი პრეცედენტული სამართლის მითითებით, რომ მას შეეძლო საკანონმდებლო შესწორებით სარგებლობა. შესაბამისად, მომჩივნისთვის უმართებულო და შეუფერებელი იყო, დალოდებოდა სამართალწარმოების დასრულებას, რომელსაც ის შეუერთდა როგორც სამოქალაქო მხარე.

10. რაც შეეხება მის აშკარა შესაძლებლობას, აღედრა სამოქალაქო სამართალწარმოება სამთავრობო უწყებების წინააღმდეგ, რათა მიეღო ანაზღაურება სისხლის სამართლის საქმის წარმოების სავარაუდო შეცდომების გამო, ეს საკითხი სცილდება წინამდებარე საქმის ფარგლებს, რომელიც ეხება მხოლოდ იმ საქმის წარმოების ხანგრძლივობას, რომელშიც ის იყო სამოქალაქო მხარე. ანალოგიურად, რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს იმის შესახებ, რომ მომჩივანმა არ შეატყობინა სასამართლოს, რომ მან სარჩელი შეიტანა პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, ხოლო მოგვიანებით უკან გაითხოვა ის, ეს სამართალწარმოება ეხებოდა მომჩივნისათვის მის წინააღმდეგ სავარაუდოდ ჩადენილი სისხლისსამართლებრივი დანაშაულით მიყენებულ ზიანს და არა იმ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობას, რომელსაც მომჩივანი შეუერთდა, როგორც სამოქალაქო მხარე, რაც წინამდებარე საჩივრის საგანს წარმოადგენს. ამასთან, ასეთი საშუალების ეფექტურობა, თუ ის ეხებოდა საჩივარს საქმის წარმოების ხანგრძლივობის შესახებ, წინამდებარე საქმეში არ არის ნაჩვენები (იხ. პარაგრაფი 11 ქვემოთ). შესაბამისად, წინამდებარე საჩივარი არ ეფუძნება ცრუ ფაქტებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით (იხ. საქმე *Gross v. Switzerland* [GC], no. 67810/10, § 28, ECHR 2014, შემდგომი მითითებებით), მომჩივნის უმოქმედობა, ამრიგად, არ შეიძლება ჩაითვალოს საჩივრის უფლების ბოროტად გამოყენებად კონვენციის 35(3)(a) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში.

11. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესაძლებლობას, სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული დისციპლინური სამართალწარმოება არ არის სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება (იხ. საქმე *Schrade v. Georgia* [Committee], no. 15016/07, § 42, 2021 წლის 11 მარტი). რაც შეეხება საკომპენსაციო საშუალებას სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მთავრობა მიიჩნევს, რომ მომჩივანს კომპენსაციის მისაღებად უნდა მიემართა ჩვეულებრივი სამართალწარმოებისთვის. თუმცა, მათი არგუმენტები არ იყო გამყარებული რაიმე კონკრეტული მაგალითებით, რომლებიც აჩვენებდა მის ეფექტურობას შესაბამის დროს და კონკრეტულად საქმის წარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით საჩივრების კონტექსტში.

12. დაბოლოს, რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიის არსს, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ის აშკარად დაუსაბუთებელია.

13. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო უარყოფს მთავრობის პრეტენზიას და აცხადებს საჩივარს მისაღებად.

14. საქმის წარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები შეჯამებულია საქმეში *Frydlender v. France* ([GC], no. 30979/96, § 43, ECHR 2000-VII), და საქმეში *Comingersoll S.A. v. Portugal* ([GC], no. 35382/97, § 19, ECHR 2000-IV).

15. წინამდებარე საქმეში, მომჩივანი შეუერთდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას როგორც

სამოქალაქო მხარე 2000 წლის 24 იანვარს. ეს საქმის წარმოება დასრულდა უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით. შესაბამისად, საქმის წარმოების სადავო ხანგრძლივობა შეადგენდა 21 წელსა და 5 დღეს. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ითვალისწინებს საქმის პროცედურულ სირთულეს და 2005 წლის ივლისიდან 2009 წლის იანვრამდე საქართველოში განხორციელებულ მასშტაბურ სასამართლო რეფორმას, აგრეთვე, უშვებს შესაძლებლობას, რომ მომჩივანმა ხელი შეუწყოს გაჭიანურებას ორჯერ, დაეთანხმა რა პროკურორის შუამდგომლობას სხდომის გადადების შესახებ, ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გაამართლოს აღნიშნული სამართალწარმოების აშკარად გადაჭარბებული ხანგრძლივობა. პრეცედენტული სამართლის დადგენილი კრიტერიუმებისა და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალწარმოების ხანგრძლივობა არ აკმაყოფილებდა გონივრული ვადის მოთხოვნას.

16. რაც შეეხება საკითხს, ჰქონდა თუ არა მომჩივანს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება მის საჩივართან დაკავშირებით, რომელიც ეხება სამართალწარმოების ხანგრძლივობას, კონვენციის მე-13 მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ შეთავაზებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები არ იყო ქმედითი (იხ. პარაგრაფი 11 ზემოთ). შესაბამისად, სასამართლო ვერ ადგენს, რომ მომჩივანი უზრუნველყოფილი იყო კონვენციის მე-13 მუხლით მოთხოვნილი სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებებით მის საჩივართან დაკავშირებით, სამართალწარმოების ხანგრძლივობის შესახებ.

17. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6(1) მუხლისა და მე-13 მუხლის დარღვევას.

### კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

18. მომჩივანმა მოითხოვა 22 356 აშშ დოლარი მატერიალურ ზიანთან დაკავშირებით, 50 000 ევრო – მორალურ ზიანთან დაკავშირებით და 4 000 ლარი სასამართლოს წინაშე გაღებული ხარჯებისა და დანახარჯებისათვის.

19. მთავრობამ უპასუხა, რომ მოთხოვნები იყო დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული.

20. სასამართლო ვერ ადგენს მიზეზობრივ კავშირს აღმოჩენილ დარღვევასა და სავარაუდო მატერიალურ ზიანს შორის; აქედან გამომდინარე, ის უარყოფს ამ მოთხოვნას. თუმცა, ის აკუთვნებს მომჩივანს 3 800 (სამი ათას რვაას) ევროს მორალურ ზიანთან დაკავშირებით, აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივანს.

21. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის მოთხოვნა ხარჯებისა და დანახარჯების შესახებ არ შეიცავდა დამადასტურებელ დოკუმენტებს, სასამართლო უარყოფს მის მოთხოვნას.

ამ მოტივით სასამართლო ერთსულოვნად

1. აცხადებს საჩივარს მისაღებად;
2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას;
4. ადგენს,

(a) რომ მოპასუხე სახელმწიფომ სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს მომჩივანს 3 800 ევრო (სამი ათას რვაასი ევრო), რომელიც უნდა დაკონვერტირდეს მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში გადახდის დღეს არსებული კურსით, რასაც უნდა დაემატოს ნებისმიერი გადასახადი, რაც შესაძლოა დაეკისროს მომჩივანს მორალურ ზიანთან დაკავშირებით;

(b) რომ ზემოთ აღნიშნული სამთვიანი ვადის ამოწურვიდან გადახდის განხორციელებამდე ზემოხსენებულ გადასახდელ თანხას დაერიცხება მარტივი პროცენტი იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება საჯარიმო პერიოდში მოქმედ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს, რომელსაც დაემატება სამი საპროცენტო პუნქტი;

5. უარყოფს მომჩივნის მოთხოვნას სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს წერილობით ეცნობა 2024 წლის 21 მარტს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მარტინა კელერი  
სექციის განმწესრიგებლის მოადგილე

კარლო რანზონი  
თავმჯდომარე